ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 თებერვლის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 04 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №4

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

04 თებერვალი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - დავით კიკნაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარი ლურსმანაშვილი იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შაეიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი“-ს ჟურნალისტი ,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილ პროექტში ცვლილების დამატების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედუროს საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილ პროექტში ცვლილების დამატების შესახებ, მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 02.02. N 206 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2020 -2022 წლების ინტეგრირებული განვითარების ფარგლებში უკვე შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად გამოეყო 892 321 ლარი, აქედან ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის 612 978 ლარი და დაბა ხარაგაულში მდებარე დევების ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის

რეკონსტრუქციისათვის 279 343 ლარი. ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილ შესარჩევი სამი პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებში დამატებით საჭიროა 89 585 ლარი, აქედან პროექტირებისათვის 70 000 ლარი, ხოლო თანადაფინანსებისათვის 19 585 ლარი. აღნიშნული სახსრების დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იქნა 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული საკუთარი საბიუჯეტოსახსრების ნაშთი 89 585 ლარის ოდენობით სწორედ აქედან გამომდინარე გახდა საჭირო წარმოდგენილ ცვლილებაში დამატებით ცვლილების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საბიუჯეტო ცვლილებაში დამატების შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიებს.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონოიმიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

   მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აგვისტოს # 33 დადგენილებაში „ხარაგაულისმუნიციპალიტეტის საკრებულოსსაკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4. 2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

   მომხს: პეტრე შარიქაძე

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის №9 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ნანა კიკნაძე

7. დაბა ხარაგაულში,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე(რიყე) 1455 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების (ს/კ 36.01.31.369) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

   მომხს: მაია ალავიძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე

9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

10. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133719 განკარგულებაში „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე